

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 001/19¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი გურამ ლეჟინაძე

შეკითხვა:

საადვოკატო ბიუროს მიმართა ფიზიკურმა პირმა, რომელსაც ჰქონდა დავა ერთ-ერთ კომპანიასთან. ფიზიკურ პირსა (შემდგომში - „კლიენტი“) და ბიუროს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რის შედეგადაც კლიენტმა გააკეთა შესაბამისი მინდობილობები რამდენიმე ადვოკატის სასარგებლოდ. ერთ-ერთი ადვოკატი, რომლის სასარგებლოდაც იყო მინდობილობა გაცემული, სამუშაოდ გადავიდა იმ კომპანიაში, რომლის წინააღმდეგაც ჰქონდა დავა კლიენტს. ადვოკატსა და საადვოკატო ბიუროს კლიენტს შორის კონტაქტი არ შემდგარა. მინდობილობის არსებობის შესახებ ადვოკატმა ყოფილი თანამშრომლისგან გაიგო. მან მოითხოვა მისი გაუქმება, თუმცა საპასუხოდ უარი მიიღო. ადვოკატს აინტერესებს, იქნება თუ არა მინდობილობის გაფორმება კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობის დაწყების საფუძველი და დაირღვევა თუ არა რაიმე რეგულაცია მისი მხრიდან თუ კომპანიის სახელით აღნიშნულ დავაში ჩაერთვება.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიამ განმარტა რომ მოცემული ურთიერთობა ვერ ჩაითვლება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობად, მხოლოდ იმიტომ, რომ მინდობილობაში არის მითითებული ადვოკატის სახელი. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.1 მუხლის მიხედვით ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მინდობილობის გაცემა შესაძლებელია მიმდობმა პირმა განახორციელოს ნოტარიუსთან, ერთპიროვნულად - მინდობილი პირის თანხმობის გარეშე, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს მინდობილი პირისათვის მიმდობის ინტერესების დაცვის ვალდებულებების წარმოშობის საფუძველად. ადვოკატს არათუ კონსულტაცია არ გაუწევია კლიენტისთვის, რაც ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენს, არამედ არც შეხვედრია მას. თუმცა, ადვოკატს წარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების და კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ კონფლიქტის დადგენისათვის არ არის აუცილებელი სახეზე გვექნდეს შეთანხმება მხარეთა შორის იურიდიული მომსახურების გაწევაზე. ეთიკური ვალდებულებები ადვოკატს ეკისრება იმ მომენტიდან, როდესაც მისთვის ცნობილი ხდება გარკვეული ინფორმაცია პოტენციური კლიენტის საქმესთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ინტერესთა კონფლიქტის დადგენისას არ არის აუცილებელი ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყება. კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე შესაძლოა არსებობდეს არა მხოლოდ მოქმედ და ყოფილ, არამედ ასევე პოტენციურ კლიენტსა და ადვოკატის სხვა მოქმედ, ყოფილ ან პოტენციურ კლიენტს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატისათვის ცნობილი გახდა იურიდიული რჩევის მიღების მსურველი პირის (პოტენციური კლიენტის) კონფიდენციალური ინფორმაცია, თუნდაც მათ შორის არ შედგეს შეთანხმება საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე, ადვოკატს კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების მომენტიდან წარმოეშობა ამ ინფორმაციის დაცვის ეთიკური ვალდებულება. ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, როდესაც არ შეუძლია ერთგულად დაიცვას კლიენტის ინტერესები იმის გამო, რომ სხვა პირთა მიმართ აქვს ვალდებულებები. ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, მიზნად ისახავს, საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, დაამკვიდროს ქცევის შესაბამისი სტანდარტები.

ეთიკის კომისიის მიერ დაფიქსირდა განსხვავებული აზრი, რომლის მიხედვითაც ვინაიდან, არ წარმოშობილა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ვერ ვიმსჯელებთ ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ არსებულ ვალდებულებებზე, შეკითხვიდან არ ჩანდა ადვოკატმა მიიღო თუ არა ისეთი სახის ინფორმაცია საადვოკატო ბიუროსგან, რაც ზიანს მიაყენებდა კლიენტის ინტერესებს. სასამართლო პროცესზე შეკითხვაში აღნიშნულმა

¹ ეთიკის კომისიის 2019 წლის 22 მარტის რეკომენდაცია 001/19

<https://www.gba.ge/pdf/5ce3ffed6ae84.pdf/001.19%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%98%2022.03.19.pdf>



ადვოკატმა უნდა ამტკიცოს, რომ მან მოითხოვა გაცემული მინდობილობის გაუქმება, ამასთან როგორც შეკითხვიდან ირკვევა საადვოკატო კომპანიას მისწერა წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ის აღარ არის კომპანიაში დასაქმებული პირი და არ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ადვოკატმა წარმოადგინოს ახალი კომპანიის ინტერესები.

დასკვნა:

ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს წარმოადგინოს კომპანიის ინტერესები შრომით დავაში, რომლის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს კლიენტი, რადგან, არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ეთიკის კომისიის განმარტებით, მხოლოდ მინდობილობის არსებობა არ წარმოშობს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას, თუმცა წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ ათავისუფლებს ადვოკატს პროფესიული ვალდებულებებისგან. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს მოქმედ ან ყოფილ და არსებულ კლიენტებს შორის, აგრეთვე, პოტენციურ და მოქმედ კლიენტებს შორისაც, რა შემთხვევებშიც, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმებით დადგენილი აკრძალვა და არ განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა მოცემულ დავაში. ასევე, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც იურიდიული დახმარების მიღების მსურველის საქმესთან დაკავშირებით მიიღო. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოში წარმომადგენლობა დაარღვევს ეთიკის კოდექსის 6.1; 4.1 მუხლებს. ასევე ადვოკატთა შესახებ კანონის 8.1; 7.1(ა) მუხლებს.